აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი
ჟურნალისტიკის ლაბორატორიის საქმიანობის ინსტრუქცია

ქ. ქუთაისი 2016 წელი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ინსტრუქციით რეგულირებული ურთიერთობები

ჟურნალისტიკის ლაბორატორია წარმოადგენს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის შემადგენელ ერთეულს და სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტის (ჟურნალისტიკის მიმართულების) შემადგენელ ერთეულს.

მუხლი 2. ჟურნალისტიკის ლაბორატორიის მიზნები და ამოცანები

ჟურნალისტიკის ლაბორატორიის მთავარი მიზანია ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებისთვის პროფესიული უნარჩვევების განვითარებისთვის მხარდაჭერა. მათ მიერ საინტერესო, ნახვადი და ეფექტური საინფორმაციო მედია პროდუქტის მომზადება, შესაბამისად, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ტელეჟურნალისტის მომზადების მიზნით. ამასთან, თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით, დაეუფლებიან ახალი ამბების და/ან სიუჟეტების მომზადება-გადაღებს, ტელე-ვიდეო-რედიო ჩაწერის საფუძვლებს, მონტაჟისა და ოპერატორის ოსტატობის უნარებს. ლაბორატორია აწსუ-ს სხვა სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ ამ კუთხით შესაბამისი პრაქტიკული ცოდნა.

მუხლი 3. ლაბორატორიის ფინანსური უზრუნველყოფა

ლაბორატორია შეიქმნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსების შედეგად ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ბაზაზე.

ჟურნალისტიკის ლაბორატორიის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

თავი II
ინსტრუქციაში გამოყენებულ ცნებათა და ტერმინთა განსაზღვრებანი

მუხლი 4. ჟურნალისტიკის ლაბორატორია

ჟურნალისტიკის ლაბორატორიის არის უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და მოქმედებს ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 5. ლაბორატორიის კოორდინირება:

ლაბორატორიის კოორდინირებასა და ხელმძღვანელობას ახორციელებს სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ჟურნალისტიკის მიმართულება.

მუხლი 6. ჟურნალისტიკის ლაბორატორიის ლაბორანტი

ჟურნალისტიკის ლაბორატორიის ლაბორანტი არის აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტის ტელეჟურნალისტიკის სფეროში მოღვაწე სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიურ განათლებას წინასწარ დადგენილი პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოფს ლაბორატორიის ყოველდღიურ მუშაობას და პასუხისმგებელია ლაბორატორიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის გამოყენებასა და მოვლაზე.

თავი III
ლაბორატორიის ძირითადი საქმიანობა

მუხლი 7. ლაბორატორიის სამუშაო პერიოდი

ჟურნალისტიკის ლაბორატორიის სამუშაო პერიოდი ემთხევა აკაკი წერეთლის უნივერ-სიტეტის სასწავლო პროცესს.

მუხლი 8. ლაბორატორიის სწავლების კურსი

ლაბორატორიის სწავლების კურსი მოიცავს, თეორიულ კურსთან ერთად, საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის, სილაბუსების მიხედვით, ლაბორატორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობას, დაფუძნებულს თანამედროვე ტექნიკის გამოყენებასა და სწავლა/სწავლების ეფექტურ მეთოდებზე.

დამტკიცებულია:
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს
2016 წ. 13 ოქტომბრის სხდომაზე, ოქმი# 19